ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 281

2 ივლისი
“ _ _ _ ” _ _ _ _ _ _ _ 2021 წ

ქ. თბილისი

საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიისთვის „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესით დადგენილი მოთხოვნებისაგან განსხვავებული პირობების შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 და დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-9 პუნქტის და „საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიისთვის „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესით დადგენილი მოთხოვნებისაგან განსხვავებული პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 16 ივნისის №21.835.935 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შეთანხმდეს საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიისთვის „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესით დადგენილი მოთხოვნებისაგან განსხვავებული შემდეგი პირობები:

ა) №01.72.14.056.046, №01.72.14.038.908, №01.72.14.038.907 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე შენობა-ნაგებობები განთავსდეს უკანა ეზოს და მიჯნის ზონების დაცვის გარეშე, ასევე, ავტოსადგომების ზომების განლაგების და გასასვლელების მიმართ მოთხოვნებისა და ფუნქციური ზონისთვის დადგენილი მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტის (კ-3) საანგარიშო ფართობის

დაუცველად;

ბ) №01.72.14.038.966 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობები განთავსდეს ფუნქციური ზონისთვის დადგენილი მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტის (კ-3) საანგარიშო ფართობის, ასევე, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) მოთხოვნების დაუცველად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე